



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
სამინისტრო

**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF  
GEORGIA**



KA060161874106617

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge  
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

# 6951

04 / აგვისტო / 2017 წ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და  
განვითარების ცენტრის პროგრამის  
კოორდინატორს, ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, მიმდინარე წლის 24 ივლისს შემოსული #3-66 თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგს 2013 წლიდან აწარმოებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი ნიადაგის ზედა ფენებში (0-10 სმ). ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი ასახავს ნიადაგის ზედა ფენებში ფონურ მდგომარეობას და შესაბამისად აღნიშნული მონაცემები არ იძლევა მცენარეული წარმოშობის საკვები პროდუქტების ხარისხის პროგნოზირების საშუალებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ნიადაგის ტყვიით დაბინძურების 2015 წლის მონაცემები ქალაქების მიხედვით.

ქალაქი	ტყვია მინიმალური კონცენტრაცია მგ/კგ	ტყვია მაქსიმალური კონცენტრაცია მგ/კგ	ზღვ
აბაშა	15.73	32.33	5.4
ახალციხე	1.00	16.57	2.8
ბათუმი	9.02	55.62	9.3
ბოლნისი	16.43	35.49	5.9
ბორჯომი	10.53	33.35	5.6
გარდაბანი	14.41	39.60	6.6
გორი	1.51	16.03	2.7

დედოფლისწყარო	7.01	14.54	4.3
დმანისი	6.02	243.9	40.7
დუშეთი	12.68	45.16	7.5
ზესტაფონი	22.28	34.97	5.8
ზუგდიდი	12.06	36.55	6.1
თბილისი	1.00	10.62	1.8
თელავი	7.5	11.55	1.9
კაზრეთი	7.13	32.10	5.4
ლანჩხუთი	5.46	46.14	7.7
მარნეული	20.58	37.49	6.2
ოზურგეთი	7.01	35.04	5.8
სამტრედია	10.77	16.17	2.7
სენაკი	33.95	40.5	6.8
სუფსა	15.68	40.84	6.8
ურეკი	17.03	41.96	7.0
ფოთი	10.1	31.27	5.2
ქობულეთი	1.00	40.57	6.8
ქუთაისი	34.64	68.64	11.4
ჩოხატაური	9.03	22.02	3.7
წყალტუბო	1.00	27.03	4.5
ჭიათურა	10.16	24.94	4.2
ხაშური	14.42	24.67	4.1

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, ასევე აწარმოებს ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის კონცენტრაციების კვლევას 4 ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და რუსთავი. ამ ქალაქებში 2016 წელს ტყვიის საშუალო თვიური კონცენტრაციის ნორმაზე (0.0003 მგ/მ<sup>3</sup>) გადაჭარბების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ქალაქ ბათუმში 2016 წელს ტყვიის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.00006 მგ/მ<sup>3</sup>. ბათუმში ჰაერში ტყვიის შემცველობა ისაზღვრება 2014 წლიდან. წინა წლებთან შედარებით 2016 წელს აღინიშნა კონცენტრაციის კლების ტენდენცია (2014 წელი - 0.00021 მგ/მ<sup>3</sup>, 2015 წელი - 0.00016 მგ/მ<sup>3</sup>).

ქალაქ თბილისში ტყვიის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 2016 წელს შეადგინა 0.00004 მგ/მ<sup>3</sup>. თბილისში ჰაერში ტყვიის შემცველობა ისაზღვრება 2008 წლიდან. წინა წლებთან შედარებით მისი კონცენტრაცია შემცირებულია. (2012 - 0.00021 მგ/მ<sup>3</sup>, 2013 - 0.00013 მგ/მ<sup>3</sup>, 2014 - 0.00012 მგ/მ<sup>3</sup>, 2015 - 0.00020 მგ/მ<sup>3</sup>).

ქალაქ რუსთავში 2016 წელს ტყვიის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.00010 მგ/მ<sup>3</sup>. რუსთავში ჰაერში ტყვიის შემცველობა ისაზღვრება 2014 წლიდან. წინა წლებთან შედარებით 2016 წელს აღინიშნა კონცენტრაციის კლების ტენდენცია (2014 წელი - 0.00013 მგ/მ<sup>3</sup>, 2015 წელი - 0.00017 მგ/მ<sup>3</sup>).

ქალაქ ქუთაისში ტყვიის საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ 2016 წელს შეადგინა 0.00008 მგ/მ<sup>3</sup>. ქუთაისში ჰაერში

ტყვიის შემცველობა ისაზღვრება 2014 წლიდან და მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ის დაახლოებით ერთ დონეზე რჩება (2014 - 0.00008 მგ/მ<sup>3</sup>, 2015 - 0.00009 მგ/მ<sup>3</sup>).

ამასთანავე გაცნობებთ, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს ზედაპირული წყლების დაბინძურების ხარისხის შესწავლას კასპიის ზღვისა და შავი ზღვის აუზის მდინარეებზე. კერძოდ, 2016 წელს სულ აღებული იქნა 920 ზედაპირული წყლის სინჯი. აქედან შავი ზღვის აუზის 33 მდინარის 54 კვეთზე - 380 სინჯი, კასპიის ზღვის აუზის 35 მდინარის 60 კვეთზე - 540 სინჯი. წყლის სინჯებში ისაზღვრება ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრები, მთავარი იონები, ბიოგენური ნაერთები, ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარება, pH, მძიმე ლითონები მათ შორის ტყვია. 2016 წლის მონაცემებით ტყვიის კონცენტრაცია ნორმას აჭარბებდა მდ. კაზრეთულაში მხოლოდ ერთხელ, თებერვლის თვეში აღებულ სინჯში და მან შეადგინა 0.0316 მგ/ლ (1.1 ზდკ).

აქვე გაცნობებთ, რომ 2015 წლის 06 ოქტომბერს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოდან შემოსული №09/863 წერილის საფუძველზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა წერილში მითითებულ ტერიტორიაზე არსებული ობიექტების შესწავლა-დათვალიერება. კერძოდ:

სოფ. ლიხაურის ტერიტორიაზე, ე.წ. ექადიას უბანში მდებარეობს ყოფილი ექსპერიმენტული მანქანათმშენებლობის ქარხნის ტერიტორია და შენობა-ნაგებობები, სადაც შესწავლის დროს განთავსებული იყო შპს "მანსაროვარის" კუთვნილი პოლიპროპილენის გადამამუშავებელი საწარმო, შპს „ოზურგეთის მძიმე დანაგარების“ ლითონის ნაკეთობათა საამქრო და შპს „ჯეოგადამამუშავებელი“-ს კუთვნილი აკუმულატორების ჯართის მიმღები საწარმო.

ინსპექტირების პერიოდში, შპს "ჯეოგადამამუშავებელი"-ს კუთვნილი საწარმო არ ფუნქციონირებდა. ტერიტორიაზე არ იყო განლაგებული აკუმულატორების გადამამუშავებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობები და ტყვიის ჯართის გამოსადნობი ღუმელი.

საწარმოს ტერიტორიაზე და ტერიტორიის გარეთ აღებული იქნა ნიადაგის ნიმუშები, რომლებშიც ტყვიის შემცველობა აღემატებოდა დასაშვებ კონცენტრაციას. ასევე აღებული იქნა საწარმოს ტერიტორიაზე არსებული გუბის წყლისა და შპს "მანსაროვარის" სალექარიდან წყლის ნიმუშები. ტერიტორიულ წყალში ტყვიის იონის შემცველობა არ აღემატებოდა ზდკ-ს, ხოლო საწარმოს ჩამდინარე წყალში ტყვიის შემცველობა არ აღემატებოდა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მნიშვნელობას.

შესწავლა-დათვალიერებისას დადგინდა, რომ შპს "ჯეოგადამამუშავებელი" საწარმო ახორციელებდა სახიფათო ნარჩენების (წელიწადში 10 ტონაზე მეტი ვადაგასული აკუმულატორების) შესყიდვასა და დროებით განთავსებას, რაც საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, განეკუთვნება ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

გამოვლენილ დარღვევებზე შპს "ჯეოგადამამუშავებელი"-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 791 მუხლის შესაბამისად, მასალები განსახილველად გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.


ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 აპრილის დადგენილებით, შპს "ჯეოგადამამუშავებლის" მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 791 მუხლით დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა.

დეპარტამენტის მიერ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 აპრილის დადგენილება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და 2016 წლის 10 ივნისის N4/ა-197-2016 გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ამჟამად, შპს "ჯეოგადამამუშავებელი"-ს კუთვნილი საწარმო არ ფუნქციონირებს.

პატივისცემით,

პირველადი სტრუქტურული ერთეულის  
ხელმძღვანელი (საჯარო ინფორმაციის  
გაცემაზე პასუხისმგებელი პირი)



ეკატერინე ბენდელიანი